ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 1 ივლისი 1996 № 63 (288) ფასი 30 თეთრი

# DEUTSCHLAND ÜBER ALLES!



## ჩვენი ჯგუფელი გერმანია ევროპის ჩემპიონია



**დიდმა იურგენ კლინსმანმა გუშინ ორჯერ ჩამოართვა ხელი მის უდიდებულესობას, ინგლისის დედოფალ ელიზაბეტ II-ს. პირველად, მისი უავგუსტესი ხელის შეხება ეთიკეტის ამბავი გახლდათ, მეორედ შესახებად კი დიდი ბრძოლა და მასში გამარჯვება იყო საჭირო. გერმანელმა ვარსკვლავმა და მისმა საოცარმა გუნდმა ეს დიდი ბრძოლა ღირსეული გამარჯვებით დაასრულეს.**

ბერტი ფოგტსი
ფინალის შემდეგ:
ევროპის ჩემპიონი უძლიერესი გუნდი გახდა. ამ გზაზე არნახული სიძნელეები გადავლახეთ. ჩეხეთი რომ ძლიერი გუნდია, ეს პირველი თამაშის მერეც ვთქვი, თუ არ გჯერათ, ჩანაწერებში შეამოწმეთ, მაგრამ განსხვავება ამ და იმ, პირველ თამაშს შორის ისაა, რომ ორი სხვადასხვა შემადგენლობით ვითამაშეთ. დღეს, ფაქტობრივად, ცხრა ფეხბურთელი გვყავდა, კლინსმანი და ჰელმერი კი უბრალოდ ტკივილისგან იტანჯებოდენ. მადლობას ვუძღვნი ჩვენს ექიმებს, რომლებიც დილის ოთხ საათზე დგებოდნენ და ხაქმეს იწყებდნენ. ახლა, „ოქროს გოლზე", თუ „უეცარ სიკვდილზე": თუმც მოვიგეთ, ამ წესის წინააღმდეგნი ვართ. ჩეხები იმსახურებდნენ იმას, რომ გათანაბრება ეცადათ... ჩვენს გოლზე თანამსაჯმა რატომ აღმართა ალამი? ალბათ პაირეტოს უძახდა, რომ ეთქვა, დღეს გერმანიის კარში პენალტი ტყუილად დანიშნეთ.

ფოგტსი 95-ის 29 მარტს თბილისში



დავით ხოლოლაშვილი რადოსლავ რადულოვიჩის წინააღმდეგ

გუშინწინ ფოთის „კოლხეთმა" თავის პირველ საერთაშორისო მატჩში, ინტერტოტოს თასზე, იუგოსლავიის „ზემუნს" უმასპინძლა და 2:3 დამარცხდა.

იხილეთ მესამე გვერდი

# გერმანიამ ჩეხეთი მოკლა

**ევროპის ჩემპიონატის ფინალი. 30 ივნისი. „უემბლი“.**
**გერმანია — ჩეხეთი 2:1**

1 კეპკე
6 ზამერი
14 ბაბელი — 5 ჰელმერი
19 შტრუნცი — 21 აილტსი — 17 ციგე
8 შოლი — 10 ჰესლერი
18 კლინსმანი — 11 კუნცი

9 კუკა
7 ნემეცი — 14 ბერგერი — 8 პობორსკი
4 ნედვედი — 13 ბეიბლი — 19 რადა
3 სუხოპარეკი — 15 ჰორნიაკი
5 კადლეცი
1 კოუბა

0:1 ბერგერი (59 პ), 1:1 ბირჰოფი (73), 2:1 ბირჰოფი (97)

აილტსი — 3 ბოდე (46), შოლი — 20 ბირჰოფი (70), პობორსკი — 17 შმიცერი (87)

გაფრთხილება: ჰორნიაკი, ჰელმერი, ზამერი, ციგე

მსაჯი: პიერლუიჯი პაირეტო (იტალია)

## ზურაბ მექველია, დავით მჭედლიშვილი
**ლონდონიდან**

### WE ARE THE CHAMPIONS

ლეგენდარული „ქუინის“ ჰიმნად ქცეული სიმღერა ჟღერდა საქვეყნოდ ცნობილ „უემბლიზე“ და იგი, მასპინძელთა სამწუხაროდ, მათ ნაკრებს კი არა, გერმანელებს ეძღვნებოდა. ამაში საამაყო, ალბათ, არაფერია, მაგრამ იმ წუთებში დედოფალმა გერმანელთა კაპიტანს კონტინენტის თასი რომ გადასცა, უნებურად გამახსენდა, რომ აჭიანდოებდნენ სწორედ იმ გუნდს, ტრიუმფისკენ მიმავალ გზაზე, მეშვიდე შესარჩევ ქვეჯგუფში, ჩვენი ახალშობილი ნაკრები და თბილისის ეროვნული სტადიონი რომ გაიარა. მაშინ, 1995 წლის 29 მარტს, ჩვენს ჩაბნელებულ დედაქალაქში, რაღაც იმგვარი მოხდა, „პირველ მერცხალში“ რომაა ნაჩვენები. მავანის და მავანის მძლევი საქართველო, ცოტა დიდ გულზე მყოფი, კორიფეთა დასამარცხებლად ემზადებოდა, მაგრამ ჩამოვიდა ვეებერთელა კლინსმანის ვეებერთელა გუნდი და ვაჟკაცურად დაგვამარცხა. ალოგიკური ამაში არაფერი იყო, ქართველებისთვის ტიტანთა ძლევა ნაადრევი გახლდათ, გერმანელებს კი წაგება არ ეწერათ, მათ დიდებით უნდა გაევლოთ გზა ელიზაბეტ II-ის ლოჟამდე.

ცხადია, ამ გზაზე მათთვის ყველაზე დიდი დაბრკოლება ჩვენ არ ვყოფილვართ. იმავე შესარჩევ ქვეჯგუფში იყო ბულგარეთი, საკუთრივ ფინალურ ეტაპზე კი ჯგუფი, სიკვდილისა რომ უწოდეს. ჩეხეთი, იტალია და რუსეთი — ეს მეტოქეები ჩამოიტოვა მომავალმა ჩემპიონმა. ერთი შეხედვით იოლად დასაძლევი ჩეხეთი რა კერკეტი კაკალიც ყოფილა, გამოჩნდა. მათ ფინალში გააღწიეს და იქაც, ლამის იყო, იმარჯვეს. იტალიაზე საუბარი ზედმეტია. „სკუადრა აძურას“ მწვრთნელი არიგო საკი რაგინდ ბევრი ლანძღოს და აკრიტიკოს მსოფლიოს მას-მედიამ, „სარბიელის“ ჩათვლით, მას ინგლისში ჩაყვანილი ჰყავდა მეტისმეტად ძლიერი გუნდი, რომელსაც სავსებით კონკრეტულ მიზეზთა გამო ჩემპიონატში ხელი მოეცარა. რუსეთი? ხელწამოსაკრავი არც ეს ნაკრები გახლდათ. იქნებ ნებისმიერი სხვა ჯგუფიდან გასულიყვნენ კიდეც.

შემდეგ, მეოთხედფინალში გერმანელებს ხორვატთა მიზანსწრაფული და ჯიბრიანი გუნდის ძლევა მოუხდა, ნახევარფინალში კი იყო ინგლისი, მასპინძელი ქვეყანა, რომელიც გამალებული ემზადებოდა გასამარჯვებლად და უდაოდ ერთ-ერთი ყველაზე ძნელადდასამარცხებელი გახლდათ. თან ბედიც რომ გამუდმებულ გამოცდას უწყობდა: ინგლისში გამართული პირველივე მატჩიდან ხან ვინ უშავდებოდათ, ხან ვინ აკლდებოდათ და ბოლოს, ფინალისთვის საქმე იქამდე მიუდგათ, სულ 13 მოთამაშეღა დარჩათ სამივე მეკარიანად. ბერტი ფოგტსს სამშობლოდან ტოდტის გამოძახებაც მოუხდა, მაგრამ...

### კლინსმანმა ითამაშა

მიუხედავად იმისა, რომ მეოთხედფინალში არცთუ იოლი, თანაც მისთვის უჩვეულო ტრავმა მიიღო, გერმანელთა კაპიტანმა აჯობა ტკივილს, შვიდი დღის მკურნალობა იკმარა და ფინალში „უემბლიზე“ გაუძღვა თანაგუნდელებს. ჩვენი აზრით, კლინსმანი გუშინ სულაც არ გახლდათ საუკეთესო ფორმაში, გრიგალივით რომ დაჰქრის და წინააღმდეგობებს რომ თელავს ხოლმე, მაგრამ მისი მხოლოდ ყოფნა ფსიქოლოგიურად უმნიშვნელოვანესი იყო. წარმოიდგინეთ, არ ეთამაშა და სასტარტო შემადგენლობაში მის ნაცვლად თუნდაც წუხანდელი გმირი ოლივერ ბირჰოფი გამოსულიყო... უეჭველია, სულ სხვა კლიმატი იქნებოდა. ასე კი, თუმცა იურგენი თუ გონიერული ჩართვით შემოიფარგლა, მისი „აურა“, დიდ როლს ასრულებდა.

ასეთი სიტყვებისთვის, შესაძლოა, ვინმემ ჯადოქრობაც დაგვაბრალოს და საინკვიზიციო კოცონს გადაგვცეს. ამიტომ, სჯობს, კლინსმანის თანაგუნდელებზე, მათ მეტოქეებზე და საკუთრივ ფინალზე უფრო კონკრეტულად ვთქვათ.

### ჩინებული დასასრული

ინგლისშიც და, ალბათ, საქართველოშიც, ბევრმა იჩქარა და გუშინდამთავრებულ ევროპის ჩემპიონატს ფინალის უნახავად უინტერესობა დააბრალა. გარკვეულ წილად არც უამისობა იყო, მაგრამ თუ დავაკვირდებით, საინტერესო და მეტად თვალსაჩინოც ბევრი მოხდა. საერთოდ, ბევრი უცნაური რამ ვიხილეთ. არაფრისმთქმელ თამაშებზე ზღაპრული გოლები გავიდა, კარგს რომ ელოდა კაცი, ცუდი იყო, ცუდს რომ ელოდა — კარგი. ფინალს ხომ, ტრადიციისამებრ, ყველა დუნეს და ნაკლებად სანახაობრივს ელოდა, მაგრამ აქაც ყველაფერი თავდაყირა დადგა. პირველივე წუთებიდან ნათელი შეიქნა, რომ ფრიად ემოციურ სანახაობას შევყურებდით. მხოლოდ ხუთი წუთი იყო გასული თამაშის დაწყებიდან, ჩემს ბლოკნოტში კი უკვე იმდენი რამ მქონდა ჩანიშნული, სხვა დროს ერთ ტაიმს ყოფნის ხოლმე. თავად განსაჯეთ: ჯერ მარცხენა ფრთაზე ჰესლერი გაიჭრა და კადლეცმა კუთხურზე გადაგდება მოახერხა. კუთხურიდან ბურთს კოუბა დაეუფლა. შემდეგ პობორსკის აქტიურობით გერმანელთა კარისკენ დაიძრა ხიფათი, მაგრამ შეტევას მწვავე დაგვირგვინება არ მოჰყოლია. ამას შოლის აქტიურობა მოჰყვა, ხან მარცხენა ფრთიდან, ხან მარჯვენიდან. ერთ ეპიზოდში მან მარჯვენიდან ჩაჰკიდა, ბეიბლმა კუთხურზე მოიგერია. იქედან ჩაწოდებული კლინსმანმა ბრძოლაში თაურით დაარტყა, მაგრამ მეკარემ აილო. ამ პერიოდში ბურთს უპირატესად გერმანია ფლობდა. ჩეხთა ჩართვები ეპიზოდური იყო, მაგრამ ამ ეპიზოდებშიც თეთრფორმიანთა დაცვას წითური ზამერი ჰკრავდა.

მე-13 წუთზე პობორსკის კუკა აჰყვა. მან, აქედან მოყოლებული, მთელი შეხვედრა მწვავედ ჩაატარა, იმ ეპიზოდში კი მარცხნიდან ჩააწოდა, პობორსკიმ გაუჩერებლად დაარტყა, მაგრამ ააცილა. ასე, მე-15 წუთისთვის, თამაშმა შუა მოედნისკენ გადაიწია. კიდევ სამ-ოთხ წუთში კი თითქოს სულ ოდნავ მიწყნარდა კიდეც. 25-ზე ჩეხებმა გერმანელებს შეტევა ჩაუჭრეს, სწრაფ კონტრშეტევად უქციეს, მაგრამ აქ ნედვედმა ველარ მოახერხა სხარტი პასით უფრო გამწვავება და შანსიც დაიკარგა. შემდეგ, კუთხური: ჰესლერის ჩაწოდებული ციგემ თავით ოდნავ ააცილა. 29-ზე კუკა მარცხნიდან საჯარიმოში შეჭრა, მაგრამ კუთხურის ხაზამდე შემობრუნება აღარ მოუხერხდა და ბურთი გაექცა.

ამ პერიოდში ჩეხთა თამაშში ასეთი რამ შეინიშნებოდა: როგორც კი საკუთარ ნახევარზე, თუგინდ საჯარიმოს მიდამოებში, ბურთს ჩაიგდებდნენ, ისინი უსწრაფესი გრძელი პასით მარცხნივ აწვდიდნენ, სადაც სიღრმიდან, ან სულაც მარჯვენიდან, ვინმე შეიჭრებოდა და ხიფათს ქმნიდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანული დაცვის მარჯვენა ფრთას უჭირდა. აქედან ილტვოდნენ ბერგერი, კუკა და ეპიზოდურად თვით პობორსკიც კი. სამაგიეროდ, მეორე მხარეს ჰქონდათ გერმანელებს საქმე კარგად. აქ ბზრიალებდა ხოლმე ჰესლერი, ხოლო ციგე შეუდარებელი იყო.

35-ე წუთზე საოცარი მომენტი გაცუდდა: ზამერმა დაარტყა, ბურთი კლინსმანს ფეხში მოხვდა, ახტა, შტრუნცს მიუვიდა, რომელმაც თავით, მეკარის წინ, კუნცს მიაწოდა, ამის დარტყმული კი მეკარეს მოხვდა, მაღალი ტრაექტორიით ავარდა და რადამ ზედ ხაზიდან გამოიტანა. 41-ზე გერმანელთა ლამის გოლი იყო. ციგემ გრძელი დრიბლინგის შემდეგ კვლავ კუნცი მოსძებნა, მან დაარტყა, მაგრამ კოუბამ ივარგა. ორი წუთის შემდეგ კი კუკას შეეძლო გატანა, მაგრამ კეპკემ არ დაუთმო.

საუცხოო და დრამატული იყო მეორე ტაიმიც. ზემოთ გითხარით, ხუთ წუთში ბლოკნოტში საკმაოდ ბევრი ჩანაწერი მქონდამეთქი. წარმოიდგინეთ, მთელ მატჩში რამდენი დაგროვდებოდა. თანაც, სხვა თამაშებში მომენტს რომ ვუწოდებთ, ასეთები წარამარა იქმნებოდა. მაგალითად, ჯარიმიდან ჩაწოდებულს ბოდემ თავი რომ ვერ მოარტყა, თორემ ნამდვილად გაიტანდა, იგივე შეეძლო ბეიბლს, შტრუნცის ოდნავ აცილებული, იგივე ჰორნიაკისა და ამგვარი ბევრი...

59-ე წუთზე იტალიელმა არბიტრმა პიერლუიჯი პაირეტომ, ჩვენი აზრით, უხეში და ლამის საბედისწერო შეცდომა დაუშვა. საჯარიმოს ხაზის წინ ზამერი პობორსკის ჩაუწვა. ის ბურთსაც ახლდა და თავდამსხმელსაც, რომელმაც წონასწორობა, ცხადია, დაჰკარგა, პაირეტომ კი პენალტი დანახა. ბერგერმა ანგარიში გახსნა.



ბერგერი: ჟამი ტრიუმფისა და ჟამი „უეცარი სიკვდილისა“

აქ გერმანელებმა ძალა მოიკრიბეს და უკვე მერამდენედ დაუმტკიცეს მთელს დედამიწას, რომ გაბრაზება და თითქმის წაგებული თამაშის მოგება ძალუძთ ისე, როგორც არავის.

73-ე წუთზე მარჯვენა ფრთაზე ჯარიმა დაინიშნა. ბურთი ციგემ ჩააწოდა, სამი წუთის შესულმა ბირჰოფმა კი ვულკანივით ამოხეთქა, აღიმართა და თავით ჩეხთა კარში შეაგდო. ისედაც საუცხოო მატჩი კიდევ უფრო სწრაფი და ამაღელვებელი გახდა. შეტევა შეტევას ცვლიდა, დარტყმა დარტყმას, მაგრამ გუნდები დამატებით დროს მაინც ვერ ასცდნენ.

### უეცარი სიკვდილი

– და აი, პირველად ფეხბურთის ისტორიაში, უეცარი სიკვდილიც ვიხილეთ...

97-ე წუთი, საჯარიმოს ხაზთან ბურთს ბირჰოფი იღებს, მარჯვნივ ტრიალდება და ცაციით არტყამს. ბურთი რიკოშეტით კოუბას ხვდება... მეკარე თითქოს იგერიებს, მაგრამ დაბნეულია... გოლია, გოლი! გერმანელები სიხარულით მეცხრე ცაზე არიან, თანამსაჯს კი... ალამი აღუმართავს. რა ხდება? ჩეხები პაირეტოს შეჰყურებენ. იტალიელი გადაწყვეტილებას არ ცვლის, კოლეგის აღმართულ დროშას ყურადღებას არ აქცევს. ჩეხები უეცრად მოკვდნენ.

— ბურთი ვერ დავინახე — თქვა მატჩის შემდეგ ჩეხების მეკარემ პეტერ კოუბამ — რეაქცია დარტყმაზე მქონდა, თანაც ბურთი ჰორნიაკს მოხვდა და რიკოშეტი იყო. თანამსაჯმა ალამი რად აღმართა, არ ვიცი, ალბათ პასიური თამაშგარე იყო. მე არ შემიმჩნევია და არც შეუშლია ამას ჩემთვის ხელი.

**დუშან უჰრინი:** პაირეტომ რად არ შეცვალა გადაწყვეტილება? ალბათ იმიტომ, რომ მოედანი მოზეიმე გერმანელებით ჭაივსო და მათ უკან ველარ დააბრუნებდა. მიუხედავად მარცხისა, ვგრძნობ, რომ დიდი საქმე გავაკეთეთ. ჩვენთან გასახდელში თვით თაცლავ ჰაველი ჩამოვიდა. რაც შეეხება „უეცარ სიკვდილს“, მე ის მაინც მომწონს.

**ოლივერ ბირჰოფი:** პაირეტოს იტალიის ჩემპიონატიდან კარგად ვიცნობ, ის პრინციპული კაცია და, თუ საჭიროა, იმის შნოც აქვს, რომ გადაწყვეტილება შეცვალოს. რაც შეეხება გოლს, ბურთი რომ მივიღე, მარცხნივ მიბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ბოდემ დამიხა, მარჯვნივ მიბრუნდიო. მეც მივბრუნდი, თუმცა ბურთი გარბოდა და ვინაიდან სხვა გზა აღარ მქონდა, დავარტყი.

**ბერტი ფოგტსი:** ევროპის ჩემპიონატზე ... ლიერესი გუნდი ... ლი სიძნელეები გადავლახეთ. ჩეხეთი რომ ძლიერი გუნდია, ეს პირველი თამაშის მერეც ვთქვი, თუ არ გჯერათ, ჩანაწერებში შეამოწმეთ, მაგრამ განსხვავება ამ და იმ, პირველ თამაშს შორის ისაა, რომ ორი სხვადასხვა შემადგენლობით ვითამაშეთ. დღეს, ფაქტობრივად, ცხრა ფეხბურთელი გვყავდა, კლინსმანი და ჰელმერი კი უბრალოდ ტკივილისგან იტანჯებოდენ. მადლობას ვუძღვნი ჩვენს ექიმებს, რომლებიც დილის ოთხ საათზე დგებოდნენ და საქმეს იწყებდნენ. ახლა, „ოქროს გოლზე“, თუ „უეცარ სიკვდილზე“: თუმც მოვიგეთ, ამ წესის წინააღმდეგნი ვართ. ჩეხები იმსახურებდნენ იმას, რომ გათანაბრება ეცადათ... ჩვენს გოლზე თანამსაჯმა რატომ აღმართა ალამი? ალბათ პაირეტოს უძახდა, რომ ეთქვა, დღეს გერმანიის კარში პენალტი ტყუილად დანიშნეო.

### „სარბიელის“ რჩეული

**„უდინეზეს“ 28 წლის ბომბარდირმა, გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა ფინალურ მატჩში ორი გოლი გაიტანა. ეს ფაქტი თავისთავად იმდენად მრავლისმეტყველია, კომენტარს არც საჭიროებს. თუმცა, შეუძლებელია, არ აღინიშნოს, რომ ბირჰოფმა, რომელიც ნაკრებში მხოლოდ წელს მიიწვიეს, ჩეხთა დამშათება 37 წუთში მოახერხა. თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე ბირჰოფმა შოლი შეცვალა, სამ წუთში ანგარიში ბრწყინვალე თაურით გაათანაბრა და საქმე დამატებით დრომდე მიიყვანა, იქ 7 წუთიც არ აცალა ჩეხებს თანაბარ პირობებში ყოფნა და ევროპის ჩემპიონატის პირველი და ერთადერთი „უეცარი მკვლელი“ გამოდგა. მის მიერ კლინსმანის ჩაწოდებით გატანილი გოლი ამ ჩემპიონატისთვის ბოლო და გერმანელთათვის გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. გერმანიას შეუძლია უხაროდეს, რომ კლინსმანს თავდასხმაში ბრწყინვალე მეწყვილე გამოუჩნდა. იოლი შესაძლებელია, მომავალში მისი შემცვლელიც გახდეს. ბირჰოფმა ჩემპიონატი მძიმედ კი დაიწყო, მაგრამ ფინალში უბადლო იყო. ორი გოლი, ორივე ულამაზესი და, რაც მთავარია, უმნიშვნელოვანესი!**





პაველ კუკა: გამქრალი იღიმილი


# სარბიელი
## ტოტალიზატორი "CROCO"

ხვალიდან ტოტალიზატორი იმუშავებს ევროპის ჩემპიონატამდელი გრაფიკით. ორშაბათი და ხუთშაბათი დასვენების დღეებია.

ფსონები მიიღება კინოთეატრ „რუსთაველში“ ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

იყიდება მე-19 საუკუნის ბოლოს, სამეფო კარის ცნობილ ოსტატ იული ჰენრიხ ციმერმანის მიერ აწყობილი საოჯახო ორღანი (CROWN ORGAN).
ფასი 3 500 დოლარი.
ცნობებისათვის დარეკეთ:
39-48-29; 93-16-08

იყიდება
თეთრი, გამჭირვალე ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
შპს კომპუსი
გარანტია 1 წელი
93-91-03
37-12-96
11 სართული, ოთახები 1104, 1105

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზემუნმა თავით ითამაშა



მილიაშმა ამჯერადაც მოუგო საჰაერო ბრძოლა კიკლიაშვილს

### მატჩამდე

მატჩის წინა დღეს ბათუმში იგრძნობოდა, რომ სახვალიოდ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო. სტადიონის შემოგარენში ამ საფეხბურთო ამინდს მხოლოდ შეხვედრის მონაწილენი და სპეციალისტები როდი ქმნიდნენ, თამაშის მოლოდინი ჩვეულებრივ ქომაგებსაც განსაკუთრებული ჰქონდათ და ამის მაგალითებს თავადაც გადავეყარეთ. თბილისურ ზაფხულს გარიდებულნი დაუფიქრებლად გადავეშვით „თავისუფლების მორევში" ანუ დაბინავებისთანავე შორტებსა და მაისურებში გამოვეწყვეთ და ასე მივაშურეთ მატჩის საორგანიზაციო ეპიცენტრს — სასტუმრო „ინტურისტს", თქვენთვის საუწყებელ ამბები შევიტყვეთ და გუშინწინდელ „სარბიელში" კიდეც გაახლეთ. საქმეს რომ მოვრჩით, თავს ზღვის პირზე გასეირნების უფლება მივეცით. პლაჟიდან მობრუნებულებს ყველა თვალს გვაყოლებდა, ვერც კი შევნიშნეთ, რომ მეტად სპორტულად ვიყავით გამოწყობილნი, შორტებს და მაისურებს ისიც ერთვოდა, რომ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს მერაბ მამულაშვილს მხარზე მოზრდილი ჩანთა გადაეკიდა. ჰოდა, დაიწყო... შადრევანთან კაცმა გაგვაჩერა, ძმაო, შენ ფეხბურთელი ხარ, მოდი, მე და შენ სურათი გადავიღოთო. გადაიღეს. ცოტას გავცდით შემცბარნი ამ კაცს და ახალგაზრდა, ჩვენი ტოლი აგვედევნა, ძმაო, თქვენ ფეხბურთელები ხართო? იონანიძეს იცნობთ, ჩემი ძმაკაცის ბიძაშვილიაო? ხვალ რას იზამთო? მოკლედ, კითხვები ისე დაგვაყარა, პასუხის მიცემაც ვერ მოვახერხეთ. კიდევ დაგვასწრო: ძმაო, აბა, თქვენ იცით, ხვალინდელ თამაშზე მთელი ბათუმი თქვენთანაა და თქვენ „გბალეშჩიკობთო". გვინდოდა გვეთქვა, არა ვართ, ბატონო, ჩვენ ის ხალხი-თქო, მაგრამ, გამოგიტყდებით, სასიამოვნო იყო ყოველ ნაბიჯზე იმის შეგრძნება, რომ ბათუმელები ფოთის „კოლხეთს" ქომაგობდნენ და ასახსნელ-გასამართლებლად თავი აღარ გამოგვიდია.

გვიან ღამით ამინდი შეიცვალა. გაავდრდა, ქალაქი გაავრილა და ეს თითქოს კარგიც იყო, მაგრამ თამაშის დღეს რომ ამინდმა გაუცინარო ხელმწიფესავით იჭირვეულა, ეს სასიამოვნო არავისთვის გახლდათ. ჩვენს პროფესიულ პრობლემას, აბა, ვინ დაეძებდა. წინა დღეებში გაზეთ „აჭარაში" გამოქვეყნებული ცნობა, სტადიონზე ყვითელი და ყავისფერი სავარძლები დაიდგმებაო, ნაწილობრივ გამართლდა, პრესლოჟაში მართლაც დაგვხვდა ყვითელი სკამები, მაგრამ ისინი დასველებულიყო და წვიმაც ისე გულდაგულ გვასხამდა, იქ გაჩერება შეუძლებელი იყო. ჩვენ კი მოვნახეთ თავშესაფარი, მაგრამ რა უნდა ექნა სტადიონზე მოსულ გულშემატკივარს? ერთმა ნაწილმა თავი სტადიონის ფოიეს შეაფარა და ვიტრაჟიდან ადევნებდა თვალს თამაშს, სხვანი კი ტრიბუნებზე დარჩნენ და ბოლომდე უერთგულეს „კოლხეთს".

თამაშის დაწყებამდე აჭარის „შინაგან საქმეთა პოლიციამ" სტადიონზე მოსულთ სთხოვა, მოძრაობის უსაფრთხოების წესები დავიცვათ და დავამტკიცოთ, რომ ფოთის „კოლხეთის" მონაწილეობა ინტერტოტოს თასზე დამსახურებულიაო (?!). მინდვრის მიღმა არავითარ ექსცესს ადგილი არ ჰქონია, იქ კი, მტრისას, რაც ხდებოდა...

### იღბლიანი დებიუტი უიღბლო გამოდგა

პირველივე წუთებზე ფოთელებმა შეუტიეს. მიქაბერიძემ მარტინოვიჩსა და ოსუნს რეტი დაასხა, ბურთი ფეხზე კარგად გაისწორა და ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ცხრიანიდან გამოაძრო სავიჩმა და კუთხურზე მოიგერია. მე-3 წუთზე ქუნთელიამ ბურთი დაჰკარგა, მაგრამ მარჯვენა მცველი თანაფლანგელმა ბახვა ამბიძემ დააზღვია, იუგების გადაცემა ჩაჭრა და... წამით სტადიონი გაირინდა. ბახვასაც არ სჯეროდა, რომ მისი დარტყმის შემდეგ სავიჩს სველი ბურთი ხელიდან გაუსხლტა და ბადეში შევარდა. გოლი დაფიქსირდა. ბახვა სიხარულისგან ლამის გაგიჟდა. სტადიონი აღრიალდა: გო-ო-ო-ო-ლ! ეს უდიდესი სიხარული იყო მათთვის, ვინც ამ წვიმიან დღეს სტადიონზე მივიდა. ვინ გამყოფა განცხრომაში: იუგოსლაველებმა ფოთელთა კარს სახიფათოდ შეუტიეს, მაგრამ გვასალია ბოგდანოვიჩს ჩაუწვა და სიტუაცია განმუხტა. ფოთელებმაც შეტევით უპასუხეს. ქუნთელიას ჩაწოდებული კიკლიაშვილმა თავით დაარტყა, მაგრამ მეკარე სავიჩს ბურთი მკერდზე მოხვდა, გაბისონიამ დამატება სცადა და ააცილა. მე-5 წუთიდან საგრძნობი შეიქნა, რომ თუ ვინმე მოძრაობის წესებს დაარღვევდა, ეს ზემუნელები იქნებოდნენ. იუგოსლაველებმა არად ჩააგდეს ფოთელთა მაისურების გამაფრთხილებელი, წითელი ფერი და მულეტაზე გავეშებული კორიდის ხარებივით შეუტიეს. ისინი მოკლე პასებითაა და სწრაფი გახსნებით უმწეო დღეში აგდებდნენ მასპინძელთა დაცვას, რომელიც ნებისმიერი მიმართულებით მხოლოდღა იგერიებდა ბურთს. მე-9 წუთზე კოლხებმა ესაც ველარ მოახერხეს, ისეთი ოსტატური კომბინაცია გაითამაშეს სტუმრებმა. რადულოვიჩმა მეკარის ბაქნიდან კარში კი არ დაარტყა, თავით ისაილოვიჩს მიაწოდა და მანაც თაურით ანგარიში გაქვითა. 2 წუთში ფოთელებმა კვლავ წინ გასვლა სცადეს. გაბისონიას ჩაწოდებული საჯარიმოს ხაზთან მკერდით ჩამოიღო მიქაბერიძემ, მცველს თავზე გადაატარა ბურთი და დაჰკრა. ისევ სავიჩს მოხვდა ბურთი და კიკლიაშვილმა დამატებისას მოჭრილი კი დაარტყა, მაგრამ ხარიხას ოდნავ ააცილა. 19-ე წუთზე ლალანიძემაც ვერ დაარტყა შორიდან ზუსტად. პირველი ტაიმის ბოლო 25 წუთში კოლხები არც თავის თავს და არც ალარაფერს ჰგავდნენ. „ზემუნმა" თამაშის სადავეები ხელში აიღო და მუსიკას თვითონ უკვეთავდა. ისინი უტევდნენ, ფოთელები კი კონტრშეტევით ცდილობდნენ ხეირის ნახვას. არადა, 25-ე წუთზე კიდევ ერთი გოლი მიიღეს: კუთხიდან ჩამოწოდებულს ისევ ისაილოვიჩმა დაუხვედრა თავი, გვასალიამ ხელის გატოკებაც ვერ მოასწრო, ბურთი ისე ჩაეჭედა კარში. 27-ე წუთზე სტუმრებმა თავიანთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა — თავით თამაში კიდევ ერთხელ გამოიყენეს: კვლავაც კუთხურიდან ჩაწოდებულს ოსუნმა კვლავაც თავი დაჰკრა და მესამე გოლიც გაიტანა. ამ ეპიზოდში ფოთელთა მეკარე მამუკა გვასალია ისე მორიდებულად, უკეთ კი, გაუბედავად ახტა, რომ ძნელი მისახვედრი არ იყო, საერთაშორისო მატჩებში გამოუცდელობა სხვებზე მეტად მას აფრთხობდა. თუმცა, „კოლხეთის" რიგებში ისეთნიც იყვნენ, თამაშს ალღო დროულად რომ აუღეს და მეტოქეს არ შეეპუვნენ. ასეთთა შორის გახლდათ სოლოლაშვილი. დათომ პირველ ნახევარში 3-ჯერ დააზღვია თანაგუნდელები და გვასალია უსაქმოდ დატოვა. 40-ე წუთზე კი მილიაშიჩს ისე შეეჯახა, რომ საკაცით გასაყვანი გახადა. „ზემუნის" გუნდისთავს თანაგუნდელი გამოექომაგა და სოლოლაშვილისკენ გაიწია. მის დასამშვიდებლად სტუმართა მთავარი მწვრთნელი იოვან კორელია გამოიჭრა მინდორზე და თურქმა არბიტრმა იგი გააძევა. მწვრთნელს არც ტრიბუნიდან გასჭირვებია თამაშის მართვა, რადგან მატჩის წინაც, ეტყობა, კარგა ხანს ეფიქრა და თანაც დამჯერი შეგირდებიც ჰყავდა. კორელიას მართლაც ისეთი ტაქტიკა აერჩია, რომელსაც ფოთელებმა ვერაფერი მოუხერხეს. „ზემუნს" დაცვაში ნომინალურად 3 მცველი ჰყავდა: ლიბერო და ორიც — ცენტრალური. საჭიროების შემთხვევაში მათ მილიაში და მარტინოვიჩიც ეხმარებოდნენ, რომელნიც მთელ ფრთას აკონტროლებდნენ. ერთ საყრდენს ბურთი 2 ცენტრალური ნახევარმცველისთვის უნდა მიეწოდებია, მათ კი ფორვარდთა დუეტისთვის. თავისთავად, ტაქტიკური მონახაზი ფოთელთაც მრავალნაცადი ჰქონდათ შერჩეული, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შემსრულებლები ამ დღეს არ ჩანდნენ. ფოთელებმა განსაკუთრებით მოედნის შუაში წააგეს თამაში და ეს არამარტო რიცხობრივი უმცირესობის ბრალი იყო, არამედ უფრო იმისა, რომ მასპინძლები ფუნქციურად არ იყვნენ მზად. ეს არცაა გასაკვირი. მათ ხომ წლევანდელ გაზაფხულზე ნორმალური შეკრებაც ვერ მოახერხეს და ჩემპიონატის დაწყებამდე მხოლოდ 2 კვირით ადრე შეუდგნენ მზადებას. „ზემუნთან" თამაშის წინ მოწყობილი ათდღიანი შეკრება კი საკმარისი არ გამოდგა. ამას ისიც დაემატა, რომ ფოთელთა მთავარი მწვრთნელი ბატონი სოსო ფილია თამაშის წინა კვირას ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საავადმყოფოში იწვა. ეს ყველაფერი გასამართლებელი მიზეზი ვერაფრით იქნება. საფიქრებელია, ამ პრობლემათა არარსებობის შემთხვევაშიც იუგებთან თამაშს დავთმობდით, მაგრამ ასე უსახურად არ ითამაშებდა „კოლხეთი". ნორმალური თამაშიდან კი მოგებამდე რაღა დარჩა, მითუმეტეს მაშინ, როცა მე-3 წუთზევე გოლი გაგაქვს.

მეორე ნახევარში კოლხებმა ძალა მოიკრიბეს და თამაშიც გაათანაბრეს. სტუმრებს ორბურთიანი ფორა ჰქონდათ და დაცვითი ვარიანტი ირჩიეს. ფოთელებზე ნაკლები ღლე არც მათ დაადგათ, მაგრამ თამაში მაინც მათთვის სასარგებლო შედეგით დაამთავრეს. მეორე ტაიმში მანამდეც აქტიურ მიქაბერიძეს და კიკლიაშვილს გახოკიძე და შალვა ხუჯაძეც წაეხმარნენ. ხუჯაძე დაცვიდან ცდილობდა შეტევათა დაწყებას, გახოკიძე კი ბოლო გადაცემას აკეთებდა. ამ ახალგაზრდა დინამოელ-ყოფილის თამაში მშვენიერი სიურპრიზი იყო: იგი ბურთისთვისაც მამაცურად იბრძოდა და არც პასს აგვიანებდა. ერთ-ორ იუგოსლავსაც ფინტებით იოლად ატყუებდა, მაგრამ შედეგი აქედან არ ჩანდა. მეორე ნახევარში ფოთელებს საკმაო მომენტები ჰქონდათ ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ ამათგან მხოლოდ ერთს მოჰყვა გოლი, ისიც პენალტით. 68-ე წუთზე მიქაბერიძემ მცველს ისევ თავზე გადაუტარა ბურთი და გაბისონიას მიაწოდა, ის კი საჯარიმოში წააქციეს და მსაჯმა პენალტი დანიშნა. კიკლიაშვილმა შუაში კი დაარტყა 11-მეტრიანი, მაგრამ ძლიერად და ზემოთ. სავიჩს შანსი არ ჰქონდა. დანარჩენ ეპიზოდებში კოლხები შეტევას სასურველად ვერ აბოლოვებდნენ, კუთხურისას თუ ჩაწოდებისას გადმოვარდნილ ბურთზე დროულად ვერ თამაშობდნენ. ამ საქმის ოსტატს გელა გაბისონიასაც კი იმ დღეს პენალტის გარდა არაფერი გამოუვიდა და თამაშიც ასე დამთავრდა — 2:3.

მატჩის მერე ეს აზრი გამოიკვეთა: ფოთელებს გამოცდილება არ ეყოთო. ამაზე მიქაბერიძეს და კიკლიაშვილს სალამოხანს მწარედ ეცინებოდათ, მაგრამ ფაქტი იყო, საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის პირველი პრეცედენტი უმრავლესთათვის სწორედ ეს შეხვედრა გახლდათ. სხვა მიზეზებზე ზემოთ მოგახსენეთ, თუმცა ბოლომდე არა. ჩემი აზრით, კოლხთა წაგების ყველაზე მთავარი მიზეზი სტუმართა გუნდის შესანიშნავი თამაში იყო.

### მატჩის შემდეგ

**ალექსანდრე ჩივაძე:** ფოთელთა მარცხს მრავალი მიზეზი ჰქონდა: „კოლხეთი" პირველად თამაშობს ევროპულ ტურნირზე, ასეთი თამაშების გამოცდილება ფეხბურთელებს არ გააჩნიათ, რის გამოც კარგად დაწყებული საქმე გამარჯვებამდე ვერ მიიყვანეს. ეს წაგება მათთვის გაკვეთილი იქნება და აქედან ფეხბურთელები და მწვრთნელი სწორ დასკვნას გამოიტანენ. ევროპის ჩემპიონატმა გვიჩვენა, რომ ყურადღების მოდუნება ნებისმიერ გუნდს ძვირად უჯდება, ფოთელებს კი დღეს სწორედ ყურადღება აკლდათ.

**იოვან კორელია, „ზემუნის" მთავარი მწვრთნელი:** ჩვენ კარგად ვითამაშეთ — ტექნიკურად, ტაქტიკურად, ფიზიკურად მასპინძლებს ვაჯობეთ, თუმცა კი, ამინდმა ხელი შეგვიშალა. რაც შეეხება მსაჯობას — იგი ობიექტური იყო. არბიტრმა სამართლიანად დამატოვებინა სათადარიგოთა სკამი. მასთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს.



გელა გაბისონიამ იმ დღეს პენალტი გაახერხა

**მილიან მილიაში, „ზემუნის" კაპიტანი:** მოგება გაგვიჭირდა, მაგრამ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით. ამას მივაღწევთ კიდეც.

**სოსო ფილია, „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი:** მცველთა და მეკარის შეცდომების გამო სტუმართა სამივე შეტევა გოლით დასრულდა. ფიზიკურად გვაჯობეს, ისე, როგორც [illegible] ფეხბურთელები თამაშამდე გავაფრთხილე — მორიდებოდნენ მაღალი ბურთის ჩაწოდებას, მაგრამ დავალება არ შეასრულეს.

— დაცვა და თავდასხმა ერთმანეთს მოწყვეტილი იყო...

— სულ ათი დღეა, მზადებას შევუდექით. ამიტომაც სისწრაფესა და გამძლეობაში სტუმრებმა გვაჯობეს და მოედნის ცენტრი წაგვართვეს.

— აშკარაა, გუნდს განახლება სჭირდება...

— თუ ფინანსური შესაძლებლობები ხელს შეგვიწყობს, ჩემპიონატამდე შემადგენლობაში აუცილებლად შევიტან კორექტივებს.

**გელა გაბისონია:** მონდომებით კი ვითამაშეთ, მაგრამ ძალა არ გვეყო, მცველებიც რამდენჯერმე შეცდნენ. 1:3-ზე კი ანგარიშის გაქვითვა გაგვიჭირდა, თანაც „ზემუნი" ჩვენზე უკეთ იყო მომზადებული.

**ბახვა ამბიძემ**, ევროთასებზე ფოთელთა პირველი გოლის ავტორმა ჯილდოდ 500 ლარი კი დაისაკუთრა, მაგრამ წაგებამ ეს სიხარული გაუფერულა:

— თავიდან ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს აუცილებლად მოვიგებდით, თანაც მეორე გოლის გატანაც შეგვეძლო პირველივე წუთებზე, მაგრამ ჩვენ რომ გვსურდა, ისე არ მოხდა, დასანანი გოლები გავუშვით. არადა, უკეთესი შედეგის მიღწევაც შეგვეძლო.

**ვახტანგ ბზიკაძე**
**ბათუმიდან**

---

**ინტერტოტოს თასი. 29 ივნისი. შაბათი**
**კოლხეთი 1913 - ზემუნი 2:3**

1 გვასალია
3 კაკაჩია
5 ქუნთელია — 9 სოლოლაშვილი
4 ხუჯაძე
6 ლალანიძე
11 ამბიძე — 7 კიკლიაშვილი — 8 გახოკიძე
2 მიქაბერიძე — 10 გაბისონია

11 ისაილოვიჩი — 9 ბოგდანოვიჩი
6 რადულოვიჩი — 10 ბარაჩი
3 მარტინოვიჩი — 7 ინდიჩი — 2 მილიაში
4 კრისტიჩი — 8 ოსუნი
5 ტურუდია
1 სავიჩი

1:0 ამბიძე (3), 1:1 ისაილოვიჩი (9), 1:2 ისაილოვიჩი (25), 1:3 ოსუნი (27), 2:3 კიკლიაშვილი (68პ)

შეცვლა: მილიაში — 13 ირიჩი (40) გვასალია — 16 გოგუა (46), ამბიძე — 12 გიორგაძე (46) ბოგდანოვიჩი — 14 მატანევიჩი (72), გაბისონია — 13 ყულეჯიშვილი (81)

გაფრთხილება: სოლოლაშვილი, კიკლიაშვილი

მსაჯი: ბიარ ვაშამი (თურქეთი)

---

**ინტერტოტოს თასი**

INTERTOTO CUP

**IV ჯგუფი**
ქონვი — შარლერუა 0:0
სილკებორგი — ზაგლებიე 0:0

**VII ჯგუფი**
ანთალიასპორი — ბაზელი 2:5

**VIII ჯგუფი**
კს — ვარნა 1:1
კაუჩუკი — კამაზი 1:2

**XI ჯგუფი**
სტრასბური — ქოჯაელისპორი 1:1

## ხსოვნა

### აწ კი ყველას ეცოდინება...

ქართველი მთამსვლელები მთაში დაღუპულ მეგობართა ცხედრებს უცხოელებივით იქვე არ ტოვებენ. ისინი გვამების ჩამოსასვენებლად საკუთარ სიცოცხლესაც საფრთხეში იგდებენ.

ასეთი მაგალითის მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ახლა მოგითხროთ ერთს, სამი სახელგანთქმული და-ძმის — სიმონ, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების საფლავის ისტორიას.

1929 წელს თეთნულდზე ასვლისას დაიღუპნენ სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი.

1945 წელს უშბაზე დაიღუპნენ სიმონის ძმა — ალიოშა ჯაფარიძე, ქლეშბი ონიანი და ნიკოლოზ მუხინი. ალიოშა ჯაფარიძის ნეშტი მხოლოდ 12 წლის მერე იპოვეს მთის კალთებზე, გულის მყინვარზე. ნეშტი გადმოასვენეს ვერეს პარკში, მაშინ კიროვის სახელობისა რომ იყო. იქვე გადმოასვენეს სიმონის ნეშტი და ძმები გვერდი-გვერდ მიაბარეს მიწას.



1959 წელს თბილისის საქალაქო საბჭომ კონკურსი გამოაცხადა ჯაფარიძეების საფლავზე მემორიალის დასადგამად. მერე მშენებლობაც დაიწყო. ასე გამოჩნდა მტკვრის სანაპიროსკენ მთაზე ფრთებივით გაშლილი ბეტონის ვეება „აივნები" და მაშინ, როცა საქმეზე დიდძალი ფული დაიხარჯა, მუშაობა შეწყდა — არქიტექტორებს თავიანთი დამტკიცებული პროექტი აღარ მოეწონათ და მისი მთლიანი გადაკეთება მოითხოვეს.

მას აქეთ მშენებლები აღარც გამოჩენილან.

ამასობაში, 1974 წელს, გარდაიცვალა სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეების დაი — ლეგენდარული ალექსანდრა და ისიც ძმების გვერდით მიაბარეს მიწას.

მშენებლები არც ამის მერე გამოჩენილან და დარჩა უპატრონოდ მიტოვებული, უწარწერო საფლავები.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე სარგის ცაიშვილმა გარდაცვალებამდე მხოლოდ იმ მოასწრო, რომ მისი მცდელობით ყაზბეგიდან ჩამოტანილი დიაბაზის ლოდი საფლავებზე დაიდგა, მაგრამ ვერეს პარკში მისული კაცი ვერსაიდან მიხვდებოდა, თუ რატომ და რისთვის იყო აღმართული იქ ეს ქვა.

და აი, ოთხშაბათს პარკში შეიკრიბნენ ჯაფარიძეების ახლო ნათესავები, ვეტერანი მთამსვლელები და ახალგაზრდა ალპინისტები. მათ ამ ქვაზე იხილეს შავი მარმარილო, რომელსაც ეწერა:

> აქ განისვენებენ ქართული ალპინიზმის ფუძემდებლები:
> ალიოშა ჯაფარიძე, 1899-1945
> ალექსანდრა ჯაფარიძე, 1895-1974
> სიმონ ჯაფარიძე, 1896-1929

საქმე უთავიათ საქართველოს მთამსვლელთა კავშირის წევრებსა და ახალგაზრდა ალპინისტებს, რომლებიც ჯაფარიძეებს მხოლოდ წაკითხულიდან იცნობდნენ. ესენი არიან გია თორთლაძე, ავთანდილ ცინცაძე, გიორგი ბაგრატიონი. მათ ორგანიზაციულ საქმიანობაში ეხმარებოდა ერთ-ერთი პიონერის — იაგორ კაზალიკაშვილის შვილიშვილი ვერიკო, ხოლო ამ საქმეს ქველმოქმედად მოევლინა საფირმოსავაჭრო საწარმო „ლალიძის წყლების" დირექტორი ნინო მამუკელაშვილი.

ამიერიდან ვერეს პარკში მოსეირნეთ ეცოდინებათ, რომ აქ სახელგანთქმული და-ძმის საფლავია. მერე ეგებ კიდეც დამშვენდეს ის ვეება ფრთები, რომლებიც თითქოს მძლავრად შერხევას ლამობენ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

## ფორმულა 1

### IX ეტაპი
### საფრანგეთის გრან-პრი

გუშინ მანი-კურზე 72-წრიანი რბოლა უილიამსის ტრიუმფით დასრულდა. პირველი ადგილი დაიჭირა ბრიტანელმა დეიმონ ჰილმა, მეორე — კანადელმა ჟაკ ვილნევმა. კვარცხლბეკზე მესამე ფრანგი ჟან ალეზი (ბენეტონი) ავიდა.

გუშინწინ კვალიფიკაცია გერმანელმა მიხაელ შუმახერმა (ფერარი) მოიგო, მაგრამ გუშინ მოსათელ წრეზე ძრავმა უმტყუნა და რბოლაში არც ჩაბმულა. კვალიფიკაციისას ავარია შეემთხვა ვილნევს, მაგრამ უვნებელი გადარჩა.

9 ეტაპის შემდეგ პილოტთა შეჯიბრში ჰილი 63 ქულით ლიდერობს. ვილნევს 38 ქულა აქვს, შუმახერს — 26, ალეზის — 25. კონსტრუქტორთა პირველობაზე უილიამსს 101 ქულა დაუგროვდა, ფერარისა და ბენეტონს კი ოდენ 35-35 აქვთ.

შემდეგი ეტაპი — ბრიტანეთის დიდი პრიზი ორი კვირის შემდეგ სილვერსთოუნზე გათამაშდება.

## ჩოგბურთი

# ბეკერიც და ჰუბერიც

უიმბლდონში ძლიერ მოთამაშეთა ისე გაბნევა, რომ საწყის ეტაპებზე ერთურთს გაწარიდონ, ამ 69 წლის წინ დაუდგენიათ წესად, მაგრამ წელს პირველად მომხდარა, რომ ამგვარად პატივდებული 32 ქალ-ვაჟიდან ერთბაშად ამდენს — 19-ს ვერ მიუღწევია მეოთხე წრისთვის — მერვედ-ფინალისათვის.

მესამე წრე

მეხუთე დღე. პარასკევი, 28 ივნისი

### ვაჟთა პირველობა

ბორის ბეკერი (გერმანია, 2) — ნევილ გოდვინი (სამხრეთი აფრიკა) 6:6. მწითური გერმანელი საუკეთესო ფორმაში იყო. აფრიკელი პირველად მონაწილეობს უიმბლდონში, ისე კი მსოფლიოს 223-ე ჩოგანია, მაგრამ მაინც არ შეეპუა ბეკერს და ისეთი ომი გაუმართა, რომ პირველი ხელის 12 გეიმი ისე გაილია, რომ ბრეიქი ვერც თავად გააზერხა, მაგრამ არც ბორისისთვის დაუნებებია. ამ ამბავში რომ იყვნენ, გერმანელს უეცრად საშინლად ეტკინა მაჯა და დანებდა. რენტგენი რომ გადაუღეს, ბეკერს ღრძობა დაუდგინეს და ოთხი კვირით ურჩიეს დასვენება. ერთი სიტყვით, თუმც ბეკერს ერთობ უდროოდ მოეჩვენა ტრავმა, ღმერთს მაინც მადლი უნდა შესწიროს, რომ დიდი სლემის მეოთხე და ბოლო შეჯიბრი — აშშ-ის ღია პირველობა აგვისტოს ბოლოსღა იწყება.

ამ ფათერაკმა ვაჟთა სხვა ამბები დაჩრდილა. აგასის მძლეველ ამერიკელ დაგ ფლექს 6:1, 7:5, 6:2 მოუგო თომას იოჰანსონმა (შვედეთი). შვედმა ორმაგ მატჩპოინტს რომ მიაღწია, გაწვიმდა და თამაში 40 წუთით შეწყდა.

ბოლო 58 წლის მანძილზე მთავარ კორტზე პირველად გაიმართა ბრიტანელთა შინაომი. თიმ ჰენმანი — ლუკ მილიგანი 6:1, 6:3, 6:4. კაფელნიკოვის მძლეველ ჰენმანს ერთი გეიმის მოგება რომ უკლდა, აქაც გაწვიმდა და თამაში მეორე დღესღა დასრულდა.

### ქალთა პირველობა

არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 4) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:4, 6:1. არანჩასაც ეტკინა მაჯა, მაგრამ თაიმ-აუტი ითხოვა, შეახვევინა, უმალ მესამე ბრეიქიც გააზერხა და პირველი ხელი მოიგო, მეორეში კი მეტოქე სულ მთლად გატეხა.

მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, 9) — ფლორენსია ლაბატი (არგენტინა) 6:2, 6:0, მაგრამ გავარდა კიდევ ერთი განთესილი: ბრენდა შულც-მაკგაფი (ჰოლანდია) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 5:7, 6:3, 10:12.

მეექვსე დღე. შაბათი, 29 ივნისი

### ვაჟთა პირველობა

პიტ სამპრასი (აშშ, 1) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:4, 6:1, 6:7 (5-7), 7:6 (7-3). სლოვაკი 107-ე ჩოგანი და ლონდონის ბინადარია. თამაში მთავარ კორტზე გაიმართა. სამპრასი წინა წრეში ფილიპუსისის განადგურებამ, ეტყობა, მოადუნა. მეოთხე ხელში კუჩერა ერთი პირობა 4:1 დაწინაურდა და მეხუთე ხელის გამართვაც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ პიტი გაციებულ ზურგსაც მოერია, მეტოქესაც, თაი-ბრეიქამდე მიიყვანა საქმე, იქ კი დამაჯერებლად გაიმარჯვა.

გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) — ალექსანდრ ვოლკოვი (რუსეთი) 7:6 (7-3), 7:5, 6:3; მიხაელ შტიხი (გერმანია, 10) — სენდონ სთოული (ავსტრალია) 6:3, 4:6, 6:2, 6:3; თოდ მარტინი (აშშ, 13) — რენცო ფურლანი (იტალია) 7:5 (7-1), 6:4, 6:2; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი, 16) — იან კროზლაკი (სლოვაკეთი) 6:2, 7:6 (7-5), 6:3; რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, მუსტერის გავარდნის შემდეგ დამატებით განთესილი) — ბრეთ სთივენი (ახალი ზელანდია) 7:6 (7-5), 6:7 (5-7), 6:4, 6:2

განთესილები ამ დღესაც დამარცხდნენ, თანაც ხუთ-ხუთ ხელში: ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 11) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:7 (4-7), 5:7, 6:1, 7:5, 1:6; მარკ როსე (შვეიცარია, 14) — პატრიკ რაფთერი (ავსტრალია) 6:4, 3:6, 6:4, 1:6, 3:6, ეს თამაში გოლიათთა შერკინება იყო: რაფთერი სიმაღლით 186 სანტიმეტრია, როსე კი — 201!

გავარდა ბებერი ედბერგის მომსხეპი მიქაელ თილსტრომიც (შვედეთი). მას 6:4, 3:6, 7:5, 6:1 აჯობა იაკოვ ჰლასეკმა (შვეიცარია).

ვაჟთა მერვედფინალები დღეს გაჩაღდება. შეჯიბრს შემორჩნენ:

სამპრასი (1) — პიოლინი (16), შტიხი (10) — კრაიჩეკი; ივანიშევიჩი (4) — რაფთერი, ჰლასეკი — სთოლთენბერგი (ავსტრალია)

ჰენმანი — გუსტაფსონი, მარტინი (13) — იოჰანსონი; ჰაარჰუისი (ჰოლანდია) — ვოშინგთონი (აშშ), რადულესკუ (გერმანია) — გოდვინი





ბეკერი უიმბლდონის მეოთხედ მოგებას ფიქრობდა, მაგრამ მაჯა იტკინა

### ქალთა პირველობა

შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — ნიკოლ არენდტი (აშშ) 6:2, 6:1. გრაფს მეტოქედ ცაცია 102-ე ჩოგანი ჰყავდა. თამაში სენსაციურად დაიწყო — შტეფიმ საწყისი 8-ვე ქულა წააგო (0:2), მაგრამ მერე აიწყვიტა.

ანკე ჰუბერი (გერმანია, 5) — აი სუგიამა (იაპონია) 6:7 (3-7), 1:6. ჰუბერი მერვე გავარდნილი განთესილი ქალია. თამაში წვიმამ შეაფერხა. 86-წუთიანი შერკინება იაპონელმა მეხუთე მატჩ-პოინტზეღა მოიგო, რაკი მანამდე პუტკუნა ანკე ოთხჯერ დაუძვრა.

კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — ლორი მაკნილი (აშშ) 7:5, 7:6 (7-4); იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 6) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 6:1; კიმიკო დატე (იაპონია, 12) — ქრისთი ბუგერტი (ჰოლანდია) 2:6, 6:4, 6:2; მარი პირსი (საფრანგეთი, 13) — ნატალია მედვედევა (უკრაინა) 6:4, 6:1; მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 16) — ლინდა ჰარბი-ვაილდი (აშშ) 6:3, 2:6, 6:1; პატრიშა ჰი-ბული (კანადა) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 6:3, 3:6, 6:4

**ირაკლი ნინუა**

## რაგბი

შაბათს ორი ტესტი იყო. „მამლებმა" მეორედაც დაუმტკიცეს უპირატესობა „პუმებს", ვითაც ბოლო 10-12 წელია ლამის ყოველწლიურად ეთამაშებიან, „ვოლაბებმა" კი „ნეკერჩხლების" განადგურებით ფსიქოლოგიური დოპინგი მიიღეს ახალი **სამეულის სერიალის** წინ, შაბათს რომ იწყება.

ბრისბენი. ბალიმორი. მხოლო ტესტი

| ავსტრალია | – | კანადა |
|---|---|---|
| (27) 74 | - | 9 (9) |

ავსტრალია: ბერქი; თიუნი, ჰერბერთი, ჰორანი, ქემფიზი; ბოუენი, პეინი; ქრაული, ბელი, პითი; მორგანი, ილზი (კაპიტანი); ფინეგანი, ვილსონი, ბრაიალი. — 10ლ: ბერქი (3), ქემფიზი, ვილსონი (2), ჰორანი, პეინი, ჰერბერთი, თიუნი; 9გ და 2ს: ბერქი

კანადა: სთიუართი; სთენლი, გრეი, ქლარქი, ლაგაპიდი; როსი, გრაფი (კაპიტანი); სნოუ, კარდინალი, ბაისი; ჯეიმზი, ვითიქერი; გორდონი, ჰაჩინსონი, შარონი. — 3ს: როსი

„ვოლაბთა" ახალ მწვრთნელ გრემ სმითს ერთი კვირის წინ უელსის 42:3 ძლევის შემდეგ ერთბაშად შვიდი კაცის შეცვლა მოუხდა, რაკილა გუნდი სამხედრო ლაზარეთს დამსგავსებოდა. ისე მოხდა, რომ წინა თამაშში ავსტრალიელებს ერთი ბურჯი და ორი კვაჭი დაუშავდათ, ზედ კანადასთან შეხვედრის წინ კი ანგინა შეეყარა ერთადერთ გადარჩენილ ბურჯ რიჩარდ ჰარის და ისიც გავარდა, რის შემდეგაც „ვოლაბებმა" ახალთახალი წინა ხაზი გამოიყვანეს. ამას დაერთო კანბერელების — პოვარდის (10) და როფის (13) მინი-ტრავმებიც. ამაზე სმითმა ბრძანა, რა კარგია, რომ ახლა დაშავდნენ: ზელანდიასთან და აფრიკასთან თამაშამდე მოკეთდებიან, მანამდე კი სხვა მოთამაშეებსაც გამოვცდიო.

კანადას არაფრის იმედი უნდა ჰქონოდა, რაკილა ტესტისწინა მატჩი სამშაბათს სიდნეიში ძლივს, 19:6 მოუგო ავსტრალიის სტუდენტურ ნაკრებს, რომელიც სახელდახელოდ შეეკოწინებინათ. კანადას სადაო ბურთის 80 პროცენტი მოუგია, მაგრამ ორად-ორი ლელო გაუტანია, მესამე კი მსაჯს ხაჯარომოდ დაუნიშნავს. სტუმართა ასეთი უმწეობის შემხედვარე სტუდენტთა მწვრთნელს კანადელთათვის უთქვამს, თუ ისე გააგრძელებთ, „ვოლაბებს" ქულასაც ვერ გაუტანთო.





ვერ გამოიცნო. „ნეკერჩხლები" შესვენებამდე გაუძალიანდნენ მასპინძლებს, მაგრამ მერე, როგორც მათი რანგის გუნდებს ხშირად მოსდით ხოლმე, მეორე ნახევარში გატყდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რაკი კანადას მოთამაშეთა არჩევანი ერთობ შეზღუდული აქვს: დიდი ალ შარონის გარდა, თითქმის ყველანი ერთ პროვინციას — ბრიტანეთის კოლუმბიას, უფრო სწორად კი ერთ ქალაქს — ვანკუვერს წარმოადგენენ.

„ვოლაბებმა" შედეგიანობის ეროვნული რეკორდი გააუმჯობესეს: აქამდე ყველაზე მეტი — 73 ქულა სამოასთვის გაეტანათ (1994 წელს). მაიქლ ლაინაფის პირადი რეკორდი — 28 ქულა არგენტინასთან (1995) მოხსნა სიდნეელმა მეთიუ ბერქმა, ვინაც 3 ლელოთი, 9 გარდასახვითა და 2 საჯარიმოთი 39 ქულა მოაგროვა. მაჩანჩალა მეტოქესთან რა ენერგიულებოდა და ბერქმაც 13 დარტყმით 11 გოლი შეაგდო.

თავისივე ორი რეკორდი გააუმჯობესა „კამპომაც" — დევიდ ქემფიზიმ: ნაკრებში 95-ედ ითამაშა (ავსტრალიის რეკორდია!) და 64-ე ლელოც გაიტანა (ეს კი მსოფლიოსია!) სმითსა და კოლეგა სელექტორებს 6 ივლისს, სტუმრად, ველინგთონში, ზელანდიის „ოლ ბლექსთან" მოთამაშე გუნდი გუშინ უნდა დაესახელებინათ.

ბუენოს-აირესი. ფეროკარილ-ოესტე. მეორე ტესტი. 27 ათასი მაყურებელი

| არგენტინა | – | საფრანგეთი |
|---|---|---|
| (9) 15 | - | 34 (13) |

არგენტინა: კრისკოლო; ალბანეზე. გარსია, ლეგორა, სოლერი; სილეი, პიშო; გრაუ, პრომანსიო, რეხიარდო; სიმესი, სპორლედერი (კაპიტანი); მარტინი, კამერლინქსი, ბუზა. — 5ს: სილეი

საფრანგეთი: სადურნი; ნტამაკი, დურთი, კასტენიედი, სანტ-ანდრე (კაპიტანი); პენო (გლასი), კარბონო; კალიფანო, დერუემონი, ჟორდანა; რუმა, მერლი; ბენაზი, ბენეტონი, პელუ. — 4ლ: პელუ, ბენეტონი, ნტამაკი, სანტ-ანდრე; გ: კასტენიედი; 4ს: კასტენიედი (3), დურთი

მასპინძლები რევანშს გეგმავდნენ. წინათ გამოსდიოდათ ხოლმე, მაგრამ ამჯერად ფრანგებმა ისევ იმარჯვეს, რაკილა „პუმებს" დერეფანში ერთობ აკლდათ სიმაღლე. ისე კი, აღმოსავლეთის რკინიგზის სტადიონზე ისეთი აკუსტიკაა, რომ მცირე ხმაურიც კი გრგვინვად ისმის. ამიტომ, იოლი წარმოსადგენია, თუ 27 ათასი არგენტინელი ქომაგი რა გნიასს დააყენებდა.

პირველი ტესტისგან განსხვავებით, რომელშიც პირველი ტაიმი 0:22 დამთავრდა, ამჯერად არგენტინა მე-3 წუთზევე 3:0 დაწინაურდა, მერე კი უელსელმა მსაჯმა თომასმა ფრანგებს ნაადრევად ჩაუსტვინა და ლელოს გატანა არ აცალა, მაგრამ „პუმათა" კაპიტანი პედრო სპორლედერი მსაჯთან კამათით გაერთო, ორჯერ დაჯარიმდა და დურთმაც ერთხელ ზუსტად დაკრა 3:3.

მე-18 წუთზე სილეიმ ისე წინ გაიყვანა არგენტინა, მაგრამ მერე პელუმ ჯგუფური ლელო გაიტანა, სანტ-ანდრემ კი — სოლო, გზიდან ჩამოიცილა რა სამი მბოჭავი. შესვენებამდე მანვე კიდევ ერთი ლელო გაიტანა, მაგრამ არც იგი ჩაითვალა, რაკილა ამ დროს სხვაგან სულ სხვა ფრანგმა უხეშად ითამაშა და საქმეში თანამსაჯი ჩაერია.

თამაშის დამთავრებას 7 წუთი რომ უკლდა, ყველაფერი მაშინღა გადაწყდა. ფრანგები 22:15 რომ იგებდნენ, ემ[illegible] ნტამაკმა კარსუკან გაიტანა ლელო. წამატებულ დროში ბენეტონმაც ისახელა თავი.

# [illegible]

**ნიკო ვეფხვაძე**

## რბოლები

**მოტო** ავსტრალიელ მაიკლ დუენს [illegible] უყვარს „ასენის" (ჰოლანდია) მოტოდრომი, უგრძესი, უძველესი და უსწრაფესი [illegible] აქ 1992 წელს დაეცა და [illegible] იტჩება. და მაინც, მიკიმ შაბათს იქ ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა, წელს უკვე ზედიზედ მეოთხე რბოლა მოიგო, კარიერის 31-ე დიდი პრიზი მოიხვეჭა და 15-ეტაპა ჩემპიონატის პროგრამით გამართული 7 ეტაპის ჯამში 146 ქულაც დააგროვა. მისი უახლოესი მდევრის, ესპანელი ალექს კრივიეს მონაგარი მხოლოდ 93 ქულაა.

დუენიცა და კრივიეც ჰონდას მოტო-ციკლით ასპარეზობენ. პოული კრივიეს ეჭირა, მასა და დუენს შორის კი ამათივე თანაგუნდელი, ბრაზილიელი ალეშანდრუ ბარუში იდგა.

დუენს ორჯერ მოუხდა კრივიეს გასწრება. პირველად რომ შეძლო ეს, მსაჯებმა წითელი დროშები გამოფინეს, აქაო და ავდარია მოსალოდნელი და რბოლა შეწყვიტეთო. 30 წუთის განმავლობაში რომ არ გაწვიმდა, ხელახალი სტარტი დაინიშნა, ოღონდაც თავდაპირველად გავლილი 8 წრის შედეგები მიუმატეს მეორე ჯერზე გავლილი 12 წრისას.

**ველო** შაბათსავე დაიწყო უპრესტიჟულესი ტურ დე ფრანსი — საფრანგეთის ველოტური, წელს 83-ედ რომ იმართება. მონაწილეობს 198 მრბოლი, რომელთაც სამი კვირის განმავლობაში 4 000-მდე კილომეტრის გავლა მოუწევთ.

წლევანდელი ტური საზღვარგარეთ, ჰოლანდიაში, ქალაქ დენ-ბოსხში დაიწყო. გუშინ იქვე გაიმართა პირველი წრიული ეტაპი.

ესპანელი მიგელ ინდურაინი წელს მეექვსე გამარჯვებას გეგმავს, თანაც ზედიზედ. აქამდე ხუთ-ხუთჯერ, მაგრამ არა-ზედიზედ, გაუმარჯვია მხოლოდ სამ ლეგენდას: ფრანგებს ჟაკ ანკეტილსა და ბერნარ ინოს და ბელგიელ ედი მერქსს.

ინდურაინმა 9,4-კილომეტრიანი პროლოგი ლიდერის ყვითელი კვართით დაიწყო. ის რომ შეუდგა დისტანციას, ავდარს უკვე გადაევლილი ჰქონდა, თორემ მანამდე საშინლად წვიმდა. ასეთივე ამინდი იდგა შარშან, როცა ბრიტანელი ქრის ბორდმენი დაეცა და მას მერე კოჭში ორი ხრახნი უკეთია.

ბორდმენმა საბოლოოდ მეორე ადგილი დაიჭირა, ინდურაინმა — მეშვიდე. გაიმარჯვა შვეიცარიელმა ალექს ცულემ, შარშან ტური მეორე ადგილზე რომ დაასრულა.

პროლოგი: 1. ცულე (ონსე) 10.53 წუთი; 2. ბორდმენი (განი) წააგო .02; 3. ევგენი ბერზინი (რუსეთი, გევისი) .03; 4. აბრამ ოლანო (ესპანეთი, მაპეი) .07; 5. ტონი რომინგერი (შვეიცარია, მაპეი) .10; 6. ბიარნე რიისი (დანია, ტელეკომი) .11; 7. ინდურაინი (ბანესტო) .12; 8. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) .15; 9. მელჩორ მაური (ესპანეთი, ონსე) .21; 10. ალექსანდრ გონჩენკოვი (რუსეთი, როსლოტო) .22; 11. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, ფესტინა) .24; 12. ლანს არმსთრონგი (აშშ, მოტოროლა) .24; 13. ფრანსის მორო (საფრანგეთი, განი) .25; 14. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) .26; 15. რიშარ ვირონკი (საფრანგეთი, ფესტინა) .27

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექვევლია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29